საქართველოს ვიზალიბერალიზაციის გამოწვევები: პოლიტიკური კონტექსტი და სტატისტიკა

მარიამ გრიგალაშვილი
მიხეილ სარჯველაძე

პოლიტიკის დოკუმენტი
აპრილი 2018

მოკლე შინაარსი

საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედების ერთი წლის თავზე, ვიზალიბერალიზაციის თემა კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მთავარი გამოწვევა უვიზო მიმოსვლის შესაძლო შეჩერების საფრთხეს უკავშირდება, რომელიც უკვე გაჟღერდა ევროკავშირის რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მიერ. ვიზალიბერალიზაციის გადახედვის საკითხი ევროკავშირის რიგ სახელმწიფოებში თავშესაფრის მსურველთა რიცხვის ზრდამ, კრიმინალის დონის მატებამ და ამ დანაშაულებში საქართველოს მოქალაქეების ჩართულობამ განაპირობა. ვიზალიბერალიზაციის გადახედვის ინიციატორი ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროები პროცესში მთავარ არგუმენტად ქართული კრიმინალური ჯგუფების საქმიანობას ასახელებენ. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, გააანალიზოს რამდენად დგას საქართველო ვიზალიბერალიზაციის შეჩერების საფრთხის წინაშე და რამდენად სამართლიან შეფასებას ეყრდნობა ის სტატისტიკა, რაც ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ ჯგუფებს შეჩერების მექანიზმის ამოქმედების განმაპირობებელ ფაქტორად მოჰყავთ. დოკუმენტი ასევე წარმოადგენს რეკომენდაციებს მთავრობისთვის, თუ რა ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, რათა საქართველო არ დადგეს შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხის წინაშე.

ავტორების შესახებ

მარიამ გრიგალაშვილი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დოქტორანტი. მარიამი ფლობს ვილნიუსის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხს, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის კვლევების მიმართულებით.

მიხეილ სარჯველაძე არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის აფილირებული ანალიტიკოსი. იგი კიოლნის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დოქტორანტი და კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდიატი. მისი დისერტაციის თემაა „გერმანიის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებით“. მიხეილ სარჯველაძე სხვადასხვა დროს სწავლობდა გერმანისტიკას და სოციალურ მეცნიერებებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გისენის უნივერსიტეტში.

შესავალი

2017 წლის 28 მარტს, საქართველოს მოქალაქეებმა ხანგრძლივი კონსულტაციებისა და მთელი რიგი პროცედურების გავლის შემდეგ (საზღვრის მართვა, სამგზავრო დოკუმენტების თავსებადობის უზრუნველყოფა ევროპულ სტანდარტებთან და ა.შ) შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის უფლება მიიღეს[1]. საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან განსხვავებული რეაქცია მოჰყვა. მთავარ საფრთხედ მასობრივი მიგრაციის თემა სახელდებოდა, რაც მიგრანტთა კრიზისი ფონზე, სკეპტიკურად განწყობილი წევრი სახელმწიფოებისთვის კიდევ უფრო დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. დღეს, როცა საქართველოს მოქალაქეები უკვე ერთი წელია სარგებლობენ ევროკავშირის პოლიტიკური ნდობით, საქართველო და მისი მთავრობა ახალი გამოწვევის წინაშე დგას, რაც უვიზო მიმოსვლის გადახედვის, ე.წ შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას უკავშირდება. საკითხის დღის წესრიგში დაბრუნებას მიმდინარე წელს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის, თომას დე მეზიერის განცხადებამ შეუწყო ხელი. მეზიერის განცხადებით "თუ ვიზის დამრღვევთა რიცხვი გაიზრდება, ჩვენ დავიწყებთ შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას…"[2]

ბუნებრივია, უვიზო მიმოსვლის შესაძლო გაუქმების გაჟღერებაც კი, რომ აღარაფერი ითქვას მის რეალურ გაუქმებაზე, ნეგატიურად აისახება ქვეყნის იმიჯზე და საზიანოა საქართველოს ინტერესებისთვის. უფრო კონკრეტულად კი, უვიზო რეჟიმის გაუქმებამ, შესაძლოა რამდენიმე მიმართულებით გამოიღოს არასასურველი შედეგი:

- საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზოდ მიმოსვლის შესაძლებლობის დაკარგვა;
- საერთაშორისო დონეზე ქვეყნის იმიჯის დაზიანება;
- ქვეყნის შიგნით ევროსკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტორების გაძლიერება.

რადგან ვიზალიბერალიზაციის გაუქმება საზოგადოების ინტერესებს შეეხება, პრევენციის მიზნით საჭიროა თანამშრომლობის გაძლიერება ევროპელ პარტნიორებთან და ასევე დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რომელიც, ერთი მხრივ, ქვეყნიდან სამუშაოს მაძიებელთა გადინებას შეამცირებს, ხოლო, მეორე მხრივ, დაარწმუნებს ევროპელ პარტნიორებს, რომ საქართველოს მთავრობა საკითხის სწრაფად და ეფექტურად მოგვარებით არის დაინტერესებული.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, შეაფასოს რამდენად რეალურია საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გაუქმების საფრთხე; გააანალიზოს ის შედეგები, რაც შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას შეიძლება მოჰყვეს და ასევე, წარმოადგინოს კონკრეტული რეკომენდაციები, იმისათვის, რომ ქვეყანა არ დადგეს შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხის წინაშე.

[1] Civil Georgia, (მარტი, 2017). Georgia Celebrates Visa Free Travel to EU, ხელმისაწვდომია: http://civil.ge/eng/article.php?id=29969

[2] Netgazeti, (თებერვალი, 2018). ჩხიკვაძე: გერმანიის მინისტრის განცხადება არ ნიშნავს, რომ უვიზო რეჟიმი უახლოეს დროში გაუქმდება, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/253675/

ვიზალიბერალიზაციის ამოქმედებამდე არსებული მდგომარეობა

2016 წელს, საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭება დეტალებზე შეთანხმების პროცესის გაჭიანურებითა და გერმანიის მთავრობაში წარმოდგენილი პოლიტიკური ძალების, ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური კავშირების (პარტიების) რიგებიდან გამოთქმული კრიტიკის გამო გახანგრძლივდა[3]. გერმანელი პოლიტიკოსების შიში, რომ ქართველი კრიმინალები ბოროტად გამოიყენებდნენ უვიზო მიმოსვლას, მოგვიანებით ნაწილობრივ გამართლდა.[4]

მთავარი არგუმენტები, რაც ამ პროცესს თან სდევდა, გერმანიაში ორგანიზებულ დანაშაულში ქართველთა ჩართულობას უკავშირდებოდა (რაც ხშირად ე.წ. რუსულ-ევრაზიული მაფიის ფარგლებში ხდება)[5]. განსაკუთრებული აქტიურობით, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წევრი, ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრი - იოახიმ ჰერმანი გამოირჩეოდა. ჰერმანს მხარს უჭერდნენ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ცალკეული წევრები (კანცლერისადმი კრიტიკულად განწყობილი ფრთა)[6], თუმცა, არა თავად პარტიის ლიდერი და გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი.

გერმანიაში საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის მინიჭების საკითხის გაჭიანურებაზე გავლენა, რამდენიმე ფაქტორმა იქონია **(1) გერმანიაში მიგრანტთა დიდი რაოდენობის უკონტროლოდ შესვლამ; (2) შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ; (3) თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვისა და კრიმინალური სტატისტიკის ზრდამ.**

გერმანიაში მიგრანტთა დიდი რაოდენობის უკონტროლოდ შესვლა	**შიდაპოლიტიკური ბრძოლა**
გერმანიაში მიგრანტთა შედინებამ სამთავრობო პარტიების (ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, სოციალ-დემოკრატები, ქრისტიანულ-სოციალური კავშირი) რეიტინგის შემცირება გამოიღო შედეგად. მიგრანტთა კრიზისის ფონზე თვალშისაცემი გახდა განსაკუთრებით	უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით მკაცრი რიტორიკის მიზანი გარკვეული ჯგუფებს მიერ ღია კარის პოლიტიკისგან დისტანცირება იყო. ანუ, საქმე გვქონდა შიდაპოლიტიკურ ბრძოლასთან, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების საკითხი გახდა

[3] Uhl, Hans-Peter, (June, 2016). Sorge vor Kriminalität, Unionspolitiker warnen vor Visabefreiung für Georgier, Available at: http://www.spiegel.de/politik/ausland/georgien-politiker-von-cdu-und-csu-warnen-vor-visabefreiung-a-1096000.html

[4] Focus Online (2018): Asylantrag als Deckmantel: So dreist schleusen sich Diebesbanden ins Land, Available at: https://www.focus.de/politik/deutschland/medienbericht-asylantrag-als-deckmantel-so-dreist-schleusen-sich-diebesbanden-ins-land_id_8688081/ Stoldt, Till-Reimer (2018): Georgische Banden nutzen Visafreiheit aus, Available at: https://www.welt.de/regionales/nrw/article173662858/Georgische-Banden-nutzen-Visafreiheit-aus.html.

[5] Stöber, Silvia: Georgien ist kein Mafia-Land, ხელმისაწვდომია: https://www.tagesschau.de/ausland/georgien-109.html

[6] Vgl. Veser, Reinhard/Wehner, Markus/Wyssuwa, Matthias, Widerstand in der Union gegen die Visumfreiheit für Georgien, Available at: http://www.faz.net/aktuell/politik/inland/f-a-z-exklusiv-widerstand-in-der-union-gegen-visumfreiheit-fuer-georgien-14296012.html

კონსერვატიული პარტიების ერთგვარი იდეოლოგიური კრიზისიც. ამომრჩეველი აღნიშნული პარტიებიდან ე.წ. მიგრანტთა კრიზისის დროს, პრინციპულ საშინაო პოლიტიკას ელოდებოდა. მათ კი ამომრჩევლის პერსპექტივიდან თავდაპირველი, კონსერვატიული პროფილი დაკარგეს. პარტიების რეიტინგის კლება კი თავის მხრივ ულტრა-მემარჯვენე, პოპულისტური ჯგუფების რეიტინგის ზრდის ხარჯზე ხდებოდა. შესაბამისად, მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები, და შემდეგ უკვე ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ცალკეული წევრები, მკაცრი რიტორიკის მეშვეობით, პრინციპულობის გამოჩენას და ამომრჩეველთა მხარდაჭერის შენარჩუნებას ცდილობდნენ.	(თურქეთის, კოსოვოსა და უკრაინისთვის უვიზო მიმოსვლის ამოქმედების საკითხის პარალელურად).

თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვისა და კრიმინალური საქიანობის სტატისტიკის ზრდა

თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი: 2011 წლის შემდეგ გერმანიაში თავშესაფრის მთხოვნელ საქართველოს მოქალაქეთა რიცხვი კატასტროფული მაჩვენებლით იზრდებოდა (იხილეთ ცხრილი 1), რასაც, ბუნებრივია, გერმანიის პოლიტიკური პარტიებისგან გარკვეული რეაქცია მოჰყვა.

რაც შეეხება **ეჭვმიტანილების რაოდენობას**, 2015 წელს გერმანიაში ბინის ქურდობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე დაკავებულ უცხოელ ეჭვმიტანილთა შორის საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობამ 6,4%-ი შეადგინა. ხოლო 2015 წელს, მთლიანად – ყველა სახის დანაშაულზე დაკავებული 911 864 უცხოელი ეჭვმიტანილიდან საქართველოს მოქალაქე მხოლოდ 0.9% იყო[7]. ამ მაჩვენებლით საქართველო უცხოელ ეჭვმიტანილთა სიაში 24-ე ადგილს იკავებდა, მაშინ, როცა სიაში მის წინ მყოფი 23 ქვეყნის რიგებში იყო ევროკავშირის წევრი ხუთი სახელმწიფო: რუმინეთი, პოლონეთი, იტალია, ბულგარეთი და საბერძნეთი (იხ. ცხრილი 2). თუმცა, აღსანიშნავია, რომ გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის შეფასებით, 2015 წელს ქართველი კრიმინალების მიერ ბინების ქურდობით გამოწვეული ზარალი 500 მილიონ ევროს შეადგენდა. გერმანიაში მიმდინარე შიდა საუბრების დროს მთავარი არგუმენტი სწორედ აღნიშნული დინამიკა გახლდათ –რომ ქართველები დიდი რაოდენობით დანაშაულს კი არ ჩადიოდნენ, არამედ ამ დანაშაულით გამოწვეული ზარალი იყო დიდი.[8]

[7] Bundesministerium des Inneren (გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო), Polizeiliche Kriminalstatistik 2015 (2016), Available at: https://www.bmi.bund.de/SharedDocs/downloads/DE/publikationen/2016/pks-2015.pdf?__blob=publicationFile

[8] სხვა ქვეყნების მიერ მიყენებულ ზარალზე ინფორმაცია არ მოიძებნება. პუბლიკაციის ავტორები გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურისგან სხვა ეროვნების ეჭვმიტანილების მხრიდან იმავე პერიოდში ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული ზარალის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვაზე მუშაობენ.

ცხრილი 1. გერმანიაში ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკა წლების მიხედვით[9] (2008-2017წწ.)



ცხრილი 2. არაგერმანელი ეჭვმიტანილები ეროვნებების მიხედვით, 2015 წლის სტატისტიკა[10]

ეროვნება	არაგერმანელ ეჭვმიტანილთა მთლიანი რაოდენობა (2015 წელი)	
	911,864	100 %
სირია	134,177	14,7 %
თურქეთი	78,014	8,6 %
ავღანეთი	61,097	6,7 %
რუმინეთი	52,531	5,8 %
პოლონეთი	44,659	4,9 %
ერაყი	38,304	4,2 %
სერბეთი	33,561	3,7 %
კოსოვო	33,512	3,7 %
ალბანეთი	28,845	3,2 %
ერიტრეა	24,525	2,7 %

[9] Pro-Asyl, Antrags-, Entscheidungs- und Bestandsstatistik, ხელმისაწვდომია: https://www.proasyl.de/thema/fakten-zahlen-argumente/statistiken/

[10] Bundesministerium des Inneren (გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო): Polizeiliche Kriminalstatistik 2015, ხელმისაწვდომია: https://www.bmi.bund.de/SharedDocs/downloads/DE/publikationen/2016/pks-2015.pdf?__blob=publicationFile

იტალია	24,230	2,7 %
ბულგარეთი	18,355	2,0 %
პაკისტანი	15,363	1,7 %
მაროკო	14,439	1,6 %
ალჟირი	13,685	1,5 %
რუსეთი	13,235	1,5 %
ირანი	12,014	1,3 %
ბოსნია და ჰერცეგოვინა	11,454	1,3 %
მაკედონია	11,230	1,2 %
საბერძნეთი	10,057	1,1 %
ნიგერია	9,962	1,1 %
სომალი	9,914	1,1 %
უკრაინა	8,235	0,9 %
საქართველო	8,085	0,9 %
ხორვატია	7,733	0,8 %
სხვა	194,648	21,3 %

სტატისტიკაზე, დაყრდნობით, 2015 წელს ქართველ ეჭვმიტანილთა რიცხვი სხვა ეროვნების ეჭვმიტანილთა რიცხვს ბევრად ჩამორჩებოდა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ზოგჯერ, საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკური რიტორიკა რიცხვების არასწორ ან გადაჭარბებულ ინტერპრეტაციასაც ეყრდნობა.[11] თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ამ ვერსიით პრობლემის ახსნა საკითხისადმი პრიმიტიულად მიდგომა იქნებოდა. ამ საკითხზე საკუთარ პასუხისმგებლობას, ვერც საქართველოს ხელისუფლება აირიდებს თავიდან. საქართველოს მთავრობა ვალდებული იყო ვიზალიბერალიზაციამდე არსებული მდგომარეობის კრიტიკული ანალიზი მოეხდინა და დროულად მიეღოზომები, რათა შემდგომში ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების მიერ თავშესაფრის მაძიებელთა საკითხზე აპელირება არ მომხდარიყო. ამასთანავე, პროცესის სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად, მხედველობის მიღმა არ უნდა დარჩეს საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების დაყოვნებასთან დაკავშირებით კრემლის გეოპოლიტიკური ინტერესები.

[11] მაგალითად ცნობილმა გერმანულმა გამოცემამ "Spiegel"-მა შესწორება სტატიაში საქართველოზე. გამოცემამ სტატიაში (გამოქვეყნდა 6 ივნისს, შესწორების შეტანა მოხდა 9 ივნისს), რომელიც ქართველების მიერ ჩადენილ ბინის ქურდობების რაოდენობას ეხებოდა, სიტყვა „უმეტესობა" მოგვიანებით ჩაანაცვლა სიტყვით „ბევრი".Uhl, Hans-Peter (2016): Unionspolitiker warnen vor Visabefreiung für Georgier, Avilable at: http://www.spiegel.de/politik/ausland/georgien-politiker-von-cdu-und-csu-warnen-vor-visabefreiung-a-1096000.html

რუსეთის შესაძლო გავლენა ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგზე

საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების საკითხის გადადებას , გერმანიასთან ერთად საფრანგეთი, იტალია და ბელგია უჭერდა მხარს[12]. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, პროცესი ევროკავშირის შიდა გადაწყვეტილებისა და ლობირების ფონზე მიმდინარეობდა, აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ დისკურსში რუსეთის როლიც გასათვალისწინებელია.

კრემლს მჭიდრო კავშირები აქვს ულტრა-მემარჯვენე, პოპულისტურ ძალებთან გერმანიაში („ალტერნატივა გერმანიისთვის“), საფრანგეთში („ეროვნული ფრონტი“), იტალიაში („ჩრდილოეთის ლიგა“/„ლიგა“)[13] და ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებში. ამ ჯგუფების ხელშეწყობით რუსეთი წნეხის გაძლიერებას ცდილობს მეინსტრიმულ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც ამომრჩეველთა დაკარგვის შიშით მკაცრ რიტორიკას ირჩევენ. აღნიშნული პოლიტიკური პარტიები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ისეთ მგრძნობიარე თემებზე, როგორებიცაა მაგალითად, უვიზო მიმოსვლა ან ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების გაერთიანებაში ინტეგრაციის პერსპექტივა. ხშირად, სწორედ რუსეთთან დაახლოებული პარტიები არიან ევროკავშირის ღია კარის პოლიტიკის მთავარი მოწინააღმდეგეები, რაც ამ პროცესში რუსეთის პოლიტიკურ როლზე გარკვეული სახის, ლეგიტიმურ ეჭვებს აჩენს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ პროცესებზე რუსეთს მხოლოდ ირიბი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. თუმცა მაინც უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გერმანიაში უვიზო მიმოსვლის შეჩერების ორივე ინიციატორი პარტია – ქრისტიანულ-სოციალური კავშირი და თავისუფალი დემოკრატიული პარტია[14], დიდი ხანია რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გაუქმებას უჭერს მხარს (დიდ ბრიტანეთში სკრიპალის შემთხვევის შემდეგ, თავისუფალი დემოკრატების ლიდერმა – ქრისტიან ლინდნერმა პოზიცია სანქციების გაგრძელების სასარგებლოდ შეცვალა). თავისუფალი დემოკრატიული პარტია, რომელმაც 2017 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის დაკომპლექტებაში ჩართვაზე უარი განაცხადა, რუსეთთან გერმანიის ურთიერთობების დათბობის იდეით, რუსეთის G8-ში დაბრუნების ინიციატივითა და ყირიმის საკითხზე გერმანიის პოლიტიკის გადახედვის მიდგომით გამოირჩევა[15].

საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების გადადების საკითხში რუსეთის პირდაპირი დადანაშაულება საქართველოს მხრიდან პასუხისმგებლობისგან გაქცევა იქნება. რასაკვირველია, რიგი პასუხისმგებლობა სწორედ ქართულ მხარეზე მოდის, რომლის მიერ დაშვებული შეცდომები ხშირად სწორედ რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ მუშაობს.

---

[12] Manuel Bewarder, Daniel Friedrich Sturm, (ივნისი, 2016). Regierung fürchtet georgische Diebesbanden, ხელმისაწვდომია: https://www.welt.de/politik/deutschland/article155960343/Regierung-fuerchtet-georgische-Diebesbanden.html

[13] Antonis Klapsis (2015), An Unholy Alliance. The European Far Right and Putin's Russia, Wilfried Martens Centre for European Studies, Available at: https://www.martenscentre.eu/sites/default/files/publication-files/far-right-political-parties-in-europe-and-putins-russia.pdf/ European Council for Foreign Relations (2016), Putin's friends in Europa, Available at: http://www.ecfr.eu/article/commentary_putins_friends_in_europe7153

[14] General-Anzeiger (2018), NRW drängt auf Ende der Visa-Freiheit für Georgier, Available at: http://www.general-anzeiger-bonn.de/news/politik/nrw/NRW-dr%C3%A4ngt-auf-Ende-der-Visa-Freiheit-f%C3%BCr-Georgier-article3773778.html/ Hertel, Alexander (2016): Visafreiheit mit langem Vorlauf, Available at: https://www.mdr.de/heute-im-osten/georgien-visafreiheit-100.html

[15] Reuters, Germany's FDP urges new approach to Russia's annexation of Crimea, ხელმისაწვდომია: https://www.reuters.com/article/us-ukraine-crisis-germany-party/germanys-fdp-urges-new-approach-to-russias-annexation-of-crimea-idUSKBN1AL0IR

2018 წელს უვიზო მიმოსვლის გამოწვევები

უვიზო მიმოსვლის გადახედვის მთავარ ინიციატორ პარტია (თავისუფალი დემოკრატიული პარტია) ფედერალურ დონეზე, ოპოზიციაშია, შესაბამისად არ აქვს პირდაპირი ბერკეტები და არ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს შეჩერების მექანიზმის ამოქმედებაზე. თუმცა, მიუხედავად ამისა ინტეგრაციის მინისტრ იოახიმ შტამპის განცხადებას[16], რომ თავშესაფრის მაძიებელ ქართველთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები უვიზო მიმოსვლას კრიმინალური საქმიანობისთვის აქტიურად იყენებენ, რეალური საფუძველი გააჩნდა. მინისტრის განცხადების მიზეზი გახდა ნორდრაინ-ვესტფალიის პატარა ქალაქი ოერლინგჰაუზენი, სადაც ლტოლვილთა ბანაკის განთავსების შედეგად კრიმინოგენული მდგომარეობა უაღრესად გართულდა[17]. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნორდრაინ-ვესტფალიაში, 2017 წელს ქართველი თავშესაფრის მაძიებლების რაოდენობა 2016 წელთან მიმართებაში 1192-დან 933-მდე შემცირდა[18]. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრისადმი საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების მოთხოვნით, შტამპის მიმართვა ცნობილმა გერმანულმა გამოცემებმა (FOCUS, WELT, SPIEGEL, ZEIT) გააშუქა. აღსანიშნავია, რომ უვიზო მიმოსვლის საკითხს განსაკუთრებით აქტიურად კონსერვატიული გამოცემები გამოეხმაურა. მაგალითისთვის, WELT-მა თებერვალში ათი დღის განმავლობაში სამი სხვადასხვა სტატია გამოაქვეყნა შემდეგი სათაურებით: "გერმანიის მთავრობა საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდის გამო შეშფოთებულია"[19], "ქართული კრიმინალური დაჯგუფებები უვიზო მიმოსვლით ბოროტად სარგებლობენ", "ნორდრაინ-ვესტფალია საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერებას ითხოვს"[20]. მედიაში აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა – თომას დე მეზიერმა განაცხადა[21], რომ თუ საქართველოდან ვიზის დამრღვევთა რაოდენობა გაიზრდება, ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმი ამოქმედდება.

როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნულ განცხადებას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა საქართველოში. საქართველოში გერმანიის ელჩის განცხადებით, გერმანიას სურს, კიდევ უფრო გააღრმავოს საქართველოსთან რეადმისიის საკითხებში უკვე არსებული მჭიდრო თანამშრომლობა[22]. გარდა ამისა, გერმანია არსებული სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში რამდენიმე წლით შენგენის მთლიან ზონაში შესვლას აუკრძალავს იმ პირებს, რომლებსაც უარი ეთქვათ თავშესაფარზე, ასეთი პირების რაოდენობა კი 745-ია,

---

[16] WDR (თებერვალი, 2018), NRW will Visafreiheit für Georgier beenden, ხელმისაწვდომია: https://www1.wdr.de/nachrichten/landespolitik/visafreiheit-georgien-100.html

[17] Vgl. Althoff, Christian (2018), Kommen die Einbrecher aus der Flüchtlingsunterkunft? Available at: http://www.westfalen-blatt.de/OWL/Kreis-Lippe/Oerlinghausen/3152842-Oerlinghausen-Viele-besorgte-Anwohner-aber-keine-Beweise-Kommen-die-Einbrecher-aus-der-Fluechtlingsunterkunft

[18] Kaufmann, Reiner (2018), Oerlinghausen und die georgische Visafreiheit, Available at: http://www.kaukasische-post.com/?p=2643

[19] WELT, Bundesregierung besorgt über hohe Asylzahlen aus Georgien, ხელმისაწვდომია: https://www.welt.de/politik/deutschland/article173722178/Innere-Sicherheit-Bundesregierung-besorgt-ueber-hohe-Asylzahlen-aus-Georgien.html

[20] Bewarder, Manuel/Flade, Florian (2018), Bundesregierung besorgt über hohe Asylzahlen aus Georgien, Available at: https://www.welt.de/politik/deutschland/article173722178/Innere-Sicherheit-Bundesregierung-besorgt-ueber-hohe-Asylzahlen-aus-Georgien.html

[21] Netgazeti, (თებერვალი, 2018), თომას დე მეზიერი: თუ დამრღვევთა რიცხვი მოიმატებს, საქართველოსთვის შეჩერების მექანიზმი ამოქმედდება, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/253549/

[22] Interpressnews, (მარტი, 2018) გერმანიის საელჩო - მხოლოდ იანვარში გერმანიაში თავშესაფარი საქართველოს 700-ზე მეტმა მოქალაქემ მოითხოვა და მათგან თითქმის 100%-მა უარი მიიღო, ხელმისაწვდომია: http://www.interpressnews.ge/ge/politika/481552-germaniis-saelcho-mkholod-ianvarshi-germaniashi-thavshesafari-saqarthvelos-700-ze-metma-moqalaqem-moithkhova-da-mathgan-thithqmis-100-ma-uari-miigho.html?ar=A

რომელთაგან 100%-ს უარი ეთქვა თავშესაფრის მიცემაზე[23]. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული მაჩვენებელები იმის დასტურია, რომ "საქართველო გერმანული მხარის მიერ დე ფაქტოდ მიჩნეულია, უსაფრთხო ქვეყნად"[24]. უსაფრთხო ქვეყნის სტატუსის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ქართველი თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა და მათი კრიმინალურ შემთხვევებში ჩართვის რისკი შემცირდება[25]. თუმცა, აღნიშნული ქმედება საკითხის მოგვარების მხოლოდ ერთი რგოლი შეიძლება იყოს.

სტატისტიკა და პოლიტიკური კონტექსი: გერმანიის მაგალითი

მაშინ, როდესაც უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ (2017 წლის მარტი), მართლაც, გაიზარდა საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელების რიცხვი, იმავეს ვერ ვიტყვით გერმანიაზე. თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რიცხვი გერმანიაში 2017 წელს 2016 წელთან მიმართებით შემცირდა. 2016 წელს თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა[26] საქართველოდან 3771 ადამიანს შეადგენდა, 2017 წელს კი 3462 ადამიანს. გერმანიაში ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით 2017 წელს 222.683-მა ადამიანმა გააკეთა განაცხადი[27]. საქართველო არ არის იმ ქვეყნების ათეულში[28], საიდანაც, 2017 წელს ყველაზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი ჩავიდა გერმანიაში. მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, 2017 წლის ბოლო თვეებში წლის პირველ ნახევართან შედარებით საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. ცხრილ 3). სწორედ ეს ფაქტი გახდა უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით კრიტიკულად განწყობილი პოლიტიკოსების ძირითადი არგუმენტი.

ამასთან, აღსანიშნავია რომ თავად ნორდრაინ-ვესტფალიის მხარეში, საიდანაც თავდაპირველი პრეტენზია გაისმა საქართველოს მისამართით, ქართველი ეჭვმიტანილების რაოდენობა 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირდა. 2017 წელს, სავაჭრო ობიექტების ქურდობაში ეჭვმიტანილი ქართველების რაოდენობა ნორდრაინ-ვესტფალიაში 1290 ადამიანს შეადგენდა. ქართველი ეჭვმიტანილების რაოდენობა ამ ასპექტში 2016 წელთან მიმართებით სამასი ერთეულითაა შემცირებული (2016 წელს 1610 ქართველი ეჭვმიტანილი)[29] თუმცა, მიუხედავად ამისა, ქართველი ეჭვმიტანილები მეექვსე

---

[23] იმავე,

[24]Interpressnews (მარტი, 2018). ვახტანგ მახარობლიშვილი - გერმანული მხარის გადაწყვეტილებით თავშესაფრის მაძიებელთა საქმეების განხილვის პროცედურები საგრძნობლად შემცირდება, ხელმისაწვდომია:http://www.interpressnews.ge/ge/politika/481698-vakhtang-makharoblishvili-germanuli-mkharis-gadatsyvetilebith-thavshesafris-madziebeltha-saqmeebis-gankhilvis-procedurebi-sagrdznoblad-shemcirdeba.html?ar=A

[25] რადიო თავისუფლება, რატომ სთხოვს საქართველო ევროკავშირს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებას, Available at: https://www.radiotavisupleba.ge/a/ratom-stkhovs-sakartvelo-evrokavshirs-usafrtkho-qveynad-agiarebas/29043277.html

[26] Bundesamt für Migration und Flüchtlinge (გერმანიის ფედერალური სამსახური მიგრაციის და ლტოლვილთა საკითხებში), Asylgeschäftsstatisti, ხელმისაწვდომია: http://www.bamf.de/DE/Infothek/Statistiken/Asylzahlen/Asylgesch%C3%A4ftsstatistik/asylgeschaeftsstatistik-node.html

[27] Bundesamt für Migration und Flüchtlinge, Asylgeschäftsstatistik, ხელმისაწვდომია: http://www.bamf.de/SharedDocs/Anlagen/DE/Downloads/Infothek/Statistik/Asyl/hkl-antrags-entscheidungs-bestandsstatistikl-kumuliert-2017.pdf;jsessionid=F364D124B153A311453426DD1D88323A.2_cid359?__blob=publicationFile

[28] Statista, (თებერვალი, 2018). Hauptherkunftsländer von Asylbewerbern* in Deutschland im Jahr 2018 (bis Februar), ხელმისაწვდომია: https://de.statista.com/statistik/daten/studie/154287/umfrage/hauptherkunftslaender-von-asylbewerbern/

[29]Polizei NRW, Polizeiliche Kriminalstatistik Nordrhein-Westfalen 2017, ხელმისაწვდომია: https://polizei.nrw/sites/default/files/2018-03/PKS%20Jahrbuch%202017_Internet.pdf

ადგილს იკავებენ რუმინელ, პოლონელ, სირიელ, მაროკოელ და სერბ ეჭვმიტანილთა შემდეგ[30]. სახლების/ბინების ქურდობის ასპექტში ქართველი ეჭვმიტანილების რაოდენობა 2017 წელს 2016 წელთან მიმართებით ორჯერაა შემცირებული.

ცხრილი 3. ქართველი თავშესაფრის მაძიებლები და ეჭვმიტანილები ნორდრაინ-ვესტფალიის მხარეში

წელი	ქართველი თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა	სახლების/ბინების ქურდობაში ქართველი ეჭვმიტანილების რაოდენობა	სავაჭრო ობიექტების ქურდობაში ეჭვმიტანილ ქართველთა რაოდენობა
2016	1.192	88	1610
2017	933	43	1290

ცხრილი 4. თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რაოდენობა გერმანიაში 2017 წელს და 2018 წლის იანვარ-თებერვალში, თვეების მიხედვით[31]

იანვარი 2017	204
თებერვალი	204
მარტი	218
აპრილი	269
მაისი	243
ივნისი	169
ივლისი	224
აგვისტო	250
სექტემბერი	238
ოქტომბერი	355
ნოემბერი	444
დეკემბერი	522
იანვარი 2018	745
თებერვალი	596
მარტი	544

[30] იმავე,
[31] Bundesamt für Migration und Flüchtlinge, Asylgeschäftsstatistik, ხელმისაწვდომია: http://www.bamf.de/DE/Infothek/Statistiken/Asylzahlen/Asylgesch%C3%A4ftsstatistik/asylgeschaeftsstatistik-node.html

რაც შეეხება კრიმინალურ საქმიანობას, გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის 2016 წლის კრიმინალური სტატისტიკის მიხედვით, გერმანიაში დაკავებულ ეჭვმიტანილთა რიცხვი 953.744-ს შეადგენდა. უცხოელ ეჭვმიტანილთა შორის საქართველო ქვეყნების ოცდახუთეულში (2016 წლის მონაცემებით) 6541 ეჭვმიტანილით ოცდამესამე ადგილზე იყო (უცხოელ ეჭვმიტანილთა 1,1%). მართალია ქართველ ეჭვმიტანილთა წილი უცხოელ ეჭვმიტანილთა რაოდენობასთან მიმართებით მინიმალურად (0,2%-ით) გაიზარდა, მაგრამ 2016 წელს საგრძნობლად შემცირდა ქართველ ეჭვმიტანილთა რაოდენობა, რომელიც 2015 წელს 8085-ს შეადგენდა ხოლო 2016 წელს კი 6541-ს[32].

მიუხედავად ამისა, ქართველი ეჭვმიტანილების რაოდენობა ქართველ თავშესაფრის მაძიებელთა და ზოგადად გერმანიაში მცხოვრებ ქართველთა ოფიციალურ საერთო რაოდენობასთან (2016 წელი - 24055 ადამიანი)[33] შეფარდებით მაღალია. შესაბამისად, თუ ამ მხრივ მდგომარეობა არ შეიცვალა და არ შემცირდა თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რაოდენობა, გერმანია აუცილებლად მოითხოვს შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას. საქართველოს მთავრობამ, მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი კონტექსტი: 2017 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ხუთი თვის შემდეგ კავშირს (ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია და ქრისტიანულ-სოციალური პარტია) და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად დაკომპლექტდა გერმანიის მთავრობა (ე.წ. დიდი კოალიცია). ანგელა მერკელი მეოთხედ გახდა გერმანიის კანცლერი, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქრისტიანულ-სოციალური პარტიის უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ – ჰორსტ ზეეჰოფერმა დაიკავა. სწორედ, ქრისტიანულ-სოციალური პარტია იყო საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების წინააღმდეგი 2016 წელს. ზეეჰოფერმა უკვე გამოუცხადა კრიმინალს ნულოვანი ტოლერანტობა, ამასთან მიზნად ისახავს თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების განხილვის და დეპორტაციის პროცესის ეფექტურობის გაზრდას.[34] მინისტრი, პრინციპული პოლიტიკის გატარებით, მაქსიმალურად შეეცდება შემოირიგოს გასულ წლებში უკონტროლო მიგრაციით განაწყენებული ამომრჩევლები. გერმანული გამოცემა "Bild"-ის ინფორმაციით გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოსთვის უსაფრთხო ქვეყნის სტატუსის მინიჭებას გეგმავს, რათა შეამციროს განაცხადების განხილვის პერიოდი და შეზღუდოს გასაჩივრების პროცესი ლტოლვილის სტატუსთან დაკავშირებული უარის შემთხვევაში.[35]

რაც შეეხება ევროკავშირში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვს, ზრდის ტენდენცია აქაც შესამჩნევია. ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რიცხვი, 2017 წელს 35%-ით გაიზარდა 2016 წელთან მიმართებით.[36] ზრდის მაჩვენებელი შეინიშნება, ასევე საქართველოდან უკანონოდ დამრჩენთა რაოდენობაშიც, რაც აშკარად საგანგაშოა. უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის პირველი მოხსენება, რომელიც

---

[32] Bundeskriminalamt, Polizeiliche Kriminal-statistik 2016 (PKS 2016), (2017), ხელმისაწვდომია: https://www.bka.de/DE/AktuelleInformationen/StatistikenLagebilder/PolizeilicheKriminalstatistik/PKS2016/pks2016_node.html

[33] Vgl. Statista (2018), Anzahl der Ausländer in Deutschland nach den Herkunftsländern, Available at: https://de.statista.com/statistik/daten/studie/1221/umfrage/anzahl-der-auslaender-in-deutschland-nach-herkunftsland/

[34] Süddeutsche Zeitung, Seehofer kündigt "null Toleranz" gegenüber Straftätern an, ხელმისაწვდომია: http://www.sueddeutsche.de/politik/innenpolitik-seehofer-kuendigt-null-toleranz-gegenueber-straftaetern-an-1.3900772

[35] Solms-Laubach, Franz (2018), Georgien soll sicheres Herkunftsland werden, ხელმისაწვდომია: https://www.bild.de/politik/inland/georgien/georgien-soll-sicheres-herkunftsland-werden-55248876.bild.html 05.04.2018

[36] Netgazeti, ქოქოშვილი, დ. (თებერვალი, 2018). ევროპის რომელ ქვეყნებს მიმართავენ ყველაზე ხშირად თავშესაფრისთვის საქართველოდან – სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/249760/

ევროპულმა კომისიამ 2017 წლის 20 დეკემბერს გამოაქვეყნა[37], გვაძლევს ინფორმაციას ასოცირებული ქვეყნების უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული შეჯამების შესახებ (2015-2016 წლების შედარების საფუძველზე). 2016 წლის მონაცემებით, საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც არალეგალურად დარჩნენ ევროკავშირის ქვეყნებში 5240-ს შეადგენს. მაშინ, როდესაც ალბანეთის და უკრაინის შემთხვევა 30 000-ს უკანონო დამრჩენთა რიცხვს ითვლის. მოლდოვას შემთხვევაში კი ეს რიცხვი (მოსახლეების რაოდენობის მიხედვით საქართველოს მსგავსი ქვეყანა) 7 660-ს უტოლდება (იხ. ცხრილი 5).

ცხრილი 5. ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად დამრჩენთა რიცხვი

ქვეყანა	ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალურად დამრჩენთა რიცხი, 2016 წელი[38]
მონტენეგრო	570
ბოსნია და ჰერცეგოვინა	3 645
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია	4 595
საქართველო	5 240
მოლდოვა	7 660
სერბეთი	11 180
უკრაინა	29 495
ალბანეთი	33 445

როგორც ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, საქართველო არ იდგა კრიტიკულ შემთხვევათა რიგებში. თუმცა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის მარტიდან – დეკემბრის პერიოდში, შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლისთვის გათვალისწინებული 90-დღიანი ვადა 10 330 საქართველოს მოქალაქემ დაარღვია[39], რაც წინა წელთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია. შესაძლებელია, სტატისტიკურად უვიზო მიმოსვლის წესების დამრღვევ ქართველ მოქალაქეთარიცხვი ბევრად ჩამოუვარდება სხვა ქვეყნების მოქალაქეების მიერ უკანონოდ დამრჩენთა რიცხვს, თუმცა გაორმაგებული სტატისტიკა შეშფოთებას იწვევს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ ლიდერთა შორის, რაც დამატებით პირობას ქმნის უვიზო მიმოსვლის შენარჩუნებისთვის საქართველოს მთავრობის მუშაობის გასააქტიურებლად.

[37] Report from the commission to the European Parliament and the Council, Brussels, (დეკემბერი 20, 2017) ხელმისაწვდომია:https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-is-new/news/20171220_first_report_under_suspension_mechanism_en.pdf

[38] Report from the commission to the European Parliament and the Council, Brussels, (დეკემბერი 20, 2017) ხელმისაწვდომია:https://ec.europa.eu/home-affairs/sites/homeaffairs/files/what-is-new/news/20171220_first_report_under_suspension_mechanism_en.pdf

[39] Imednews, უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ 90-დღიანი ვადა 10330-მა მოქალაქემ დაარღვია, Available at: https://imedinews.ge/ge/saqartvelo/38070/uvizo-mimosvlis-amoqmedebis-shemdeg-90dgiani-vada-10330ma-moqalaqem-daargvia

ევროკავშირის ცალკეული სახელმწიფოების მონაცემები

ზოგადი ფონიდან იკვეთება, რომ ყველაზე მეტი ადამიანი საქართველოდან გერმანიასა და საფრანგეთში ჩადის, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ცალკეული პოლიტიკური ჯგუფები (მათ შორის მთავრობაში წარმოდგენილი) სკეპტიკურად არიან განწყობილნი უვიზო მიმოსვლისადმი. გარდა ამისა, რიგ სახელმწიფოებში მაღალია ზეწოლა პოლიტიკურ პარტიებზე ულტრა-მემარჯვენე, პოპულისტური, ევროსკეპტიკური ჯგუფების გაძლიერების გამო, რაც საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხის განხილვას უფრო აქტუალურს ხდის.

საფრანგეთი	იტალია
ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთში (აპრილი-ოქტომბერი) თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რაოდენობა 2017 წელს გასულ წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა. 2016 წელს, ის (აპრილ-ოქტომბრის) მონაკვეთში 680 განაცხადს შეადგენდა, 2017 წელს კი დროის იდენტურ მონაკვეთში 1180 განაცხადს. მიუხედავად ამისა, საქართველო იმ ქვეყნების ათეულში არ შედის, საიდანაც საფრანგეთში ყველაზე მეტი თავშეაფრის მაძიებელი ჩადის.[40]	2017 წელს, თავშესაფრის მაძიებელი ქართველების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა 2016 წლის ზაფხულში გერმანიის პოზიციის (უვიზო მიმოსვლის) მხარდამჭერ ქვეყნებში, იტალიასა და ბელგიაში[41]. 4 მარტის იტალიის საპარლამენტო არჩევნებში ევროსკეპტიკური („ხუთი ვარსკვლავის მოძრაობა“, შედეგი: 32,2%) და ნაციონალისტური (ჩრდილოეთის ლიგა, შედეგი: 17,6%)[42] პარტიების წარმატება კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ ევროპული პროექტი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას და ეს საფრთხე პირველ ყოვლისა ევროსკეპტიკური პოლიტიკური ჯგუფებიდან მომდინარეობს, რომლებიც დიდი ხანია, მხოლოდ ოპოზიციაში ყოფნით აღარ კმაყოფილდებიან.
შვედეთი	
საქართველოს მოქალაქეების მიერ დანაშაულის ჩადენის და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის მატებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატა ასევე შვედეთმა.[43] თუმცა, საპასუხოდ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის	

[40] Asylum in Europe, (2017). ხელმისაწვდომია: http://www.asylumineurope.org/reports/country/france/statistics

[41] Netgazeti, 2018, ევროპის რომელ ქვეყნებს მიმართავენ ყველაზე ხშირად თავშესაფრისთვის საქართველოდან – სტატისტიკა, Available at: http://netgazeti.ge/news/249760/

[42] BBC, (მარტი, 2018). Italy election: What does the result mean? ხელმისაწვდომია:http://www.bbc.com/news/world-europe-43291390

[43] Civil.ge, საქართველო და შვედეთი მსჯავრებულთა დაბრუნების შესახებ შეთანხმებას მოაწერენ ხელს, ხელმისაწვდომია: http://www.civil.ge/geo/article.php?id=32079

შვედეთში ვიზიტის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გაძლიერების შესახებ განცხადების ხელმოწერის შემდეგ (ახლო მომავალში დაგეგმილია მსჯავრებულთა დაბრუნების შესახებ შეთანხმება), შვედეთის სამეფოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრმა – მორგან იოჰანსონმა განაცხადა, რომ შვედეთი ვიზალიბერალიზაციას ეჭვქვეშ არ აყენებს.[44]

თუკი, 2018 წელს 2017 წლის ბოლო თვეების ტენდენცია თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით გაგრძელდება, ცალკეული ქვეყნების შიდაპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საშიშროება რეალური გახდება.

ევროკავშირის ქვეყნებში ევროსკეპტიკური ძალების გაძლიერების ფონზე, საქართველო ორჯერ უფრო ფრთხილად უნდა იყოს, რადგან შექმნილი მდგომარეობის გამო სკეპტიკოსები მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს გამადიდებელი შუშით აკვირდებიან. აქედან გამომდინარე, შეცდომის დაშვებამ შესაძლებელია ევროკავშირის ღია პოლიტიკისადმი ან თავად ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან, კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობა გამოიწვიოს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ დანაშაულის ჩადენის, თავშესაფრის მოთხოვნისა ან უკანონოდ დარჩენის ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში,, შესაძლოა, პოლიტიკური ჯგუფების რიტორიკა ქმედებაში გადაიზრდოს და დღის წეარიგში რეალურად დადგეს უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხი.

შეჩერების მექანიზმის ამოქმედება და მისი შესაძლო გავლენა საქართველოზე

შექმნილი ფონის გათვალისწინებით, გერმანიის ცალკეულმა პოლიტიკურმა პარტიებმა, შესაძლოა, ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით, გაზარდონ მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების დღის წესრიგში დაყენება, რაც მათ შორის, საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გადახედვის საჭიროებასაც მოიაზრებს. ბუნებრივია, არსებულ სტატისტიკაზე გავლენის მოხდენა საქართველოს აღარ შეუძლია, თუმცა აუცილებელია 2018 წელს გერმანიის ფედერალური კრიმინალური სტატისტიკის მკვეთრი ცვლილება მოხდეს, ქართველთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრვი ქმედების პროცენტული/რაოდენობრივი შემცირებით. ასევე, უნდა შემცირდეს თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი, ასეთ დროს საქართველოს სახელმწიფოს მყარი არგუმენტი

[44] შინაგან საქმეთა სამინისტრო, შვედეთის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრი მორგან იოჰანსონი საქართველოს ვიზალიბერალიზაციას ეჭვქვეშ არ აყენებს, ხელმისაწვდომია: http://police.ge/ge/shvedetis-shinagan-saqmeta-da-iustitsiis-ministri-morgan-iohansoni-saqartvelos-vizaliberalizatsias-echvqvesh-ar-akenebs/11503

გაუჩნდება დაიცვას საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შენარჩუნების საკითხი.

რაც შეეხება შეჩერების მექანიზმის ამოქმედებას, იგი თითქმის ისეთივე ხანგრძლივ კონსულტაციებსა და პროცედურებს საჭიროებს, როგორც მისი მიღების პროცესი.[45] შეჩერების მექანიზმის ამოქმედება დროს მოითხოვს, რაც სახელმწიფოს საშუალებას აძლევს აქტიურად იმუშაოს საკითხის მოგვარებაზე. შესაძლებელია, უახლოეს მომავალში საქართველოსთვის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხე არ იდგეს, თუმცა, ამაზე დისკუსიის დაწყებაც ნეგატიური ფონის მატარებელია. უვიზო რეჟიმის გაუქმების საფრთხემ რამდენიმე მიმართულებით შეიძლება იმოქმედოს:

- **საერთაშორისო დონეზე** ევროკავშირის რიგი წევრი სახელმწიფოების "საჩივრებმა", შესაძლოა დააზიანოს ქვეყნის იმიჯი. რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების გაღრმავების პროცესზე.
- **ეროვნულ დონეზე:** უვიზო მიმოსვლის გაუქმება, სავარაუდოდ შეამცირებს საქართველოს ევროპული მომავლის მხარდამჭერთა რიცხვს. გარდა ამისა, მოვლენათა მსგავსი განვითარება მანიპულაციის იარაღად შეიძლება იქცეს პრორუსულად განწყობილი ჯგუფების ხელში.

საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული და დაგეგმილი ნაბიჯები

უვიზო მიმოსვლის შეჩერების გადახედვის შესახებ შექმნილმა ვნებათაღელვამ საქართველოს მთავრობას პრევენციული მექანიზმების ამოქმედებისკენ უბიძგა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით იგეგმება პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება[46]. ამ ეტაპზე, საქართველოს პოლიციის ატაშეები ევროკავშირის 8 ქვეყანაში მუშაობენ: ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი და შვედეთი[47].

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე თანამშრომლობს ევროპოლთან. 2017 წლის 31 ივლისს, ძალაში შევიდა შეთანხმება ოპერატიულ და სტრატეგიულ თანამშრომლობაზე ევროპის პოლიციის სამსახურთან. 2018 წლის 9 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა და ევროპოლის აღმასრულებელმა დირექტორმა ხელი მოაწერეს „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის უსაფრთხო კომუნიკაციის არხის თაობაზე" ურთიერთგაგების მემორანდუმს, ასევე „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს შორის

[45] თუმცა, ბოლო გადაწვყეტილებებით და ცვლილებებით საკმაოდ გამარტივდა მექანიზმის ამოქმედების წინაპირობები. Bundesrat, Drucksache 247/16, 04.05.2016

[46] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით დიპლომატიურ წარმომადგენლობაში სამუშაოდ ნიშნავს პოლიციის ატაშეს. მისი ფუნქციაა, სამართალდამცავ სფეროში თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგინოს საქართველო და ხელი შეუწყოს საქართველოსა და შესაბამის ადგილსამყოფელ სახელმწიფოს სამართალდამცავ უწყებებს/საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების დამყარებასა და თანამშრომლობის განმტკიცებას. 2014 წლის სექტემბრიდან საქართველოს პოლიციის ატაშეები ჰყავს ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში. რათა უფრო ეფექტიანი გახადოს საქართველოსა და ადგილსამყოფელ ქვეყანაში ოპერატიული თანამშრომლობა.

[47] შიდაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით.

მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმებას[48]. პასუხიმგებელ უწყებებს შორის გაღრმავებული თანამშრომლობა იძლევა ინფორმაციის გაცვლის და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის შესაძლებლობას. უახლოეს მომავალში ასევე დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მეკავშირე ოფიცრის წარგზავნა ევროპოლის შტაბბინაში.

ამავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ინიციატივით იქმენება უწყებათაშორისი კომისია/სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს უვიზო რეჟიმის ფარგლებში არსებულ აქტუალურ საკითხებს.

ამასთან მიმდინარეობს რამდენიმე კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იქნა ინიცირებული საქართველოს პარლამენტში. იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი გვარის შეცვლის პროცედურების გამკაცრების თაობაზე, რომლზეც მიმდინარეობს საკომიტეტო განხილვები. კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ, მოსალოდნელია შემცირდეს ქართველ სამართალდამრღვევთა მიერ გვარის შეცვლის შემდეგ ევროკავშირის ქვეყნებში კვლავ დაბრუნების ალბათობა.

ზემოაღნიშნული ნაბიჯები ნამდვილად მისასალმებელია, მით უფრო რომ ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფორმატები, დაარწმუნებს წევრ სახელმწიფოებს, რომ საქართველო მზადაა ყველა ღონე გამოიყენოს, რათა მისი სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს ვეროკავშირის შიგნით. მიუხედავად აღნიშნული ნაბიჯების გატარებისა, პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის გაზრდისთვის პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობისთვის.

დასკვნა

უვიზო მიმოსვლის შეჩერების მექანიზმის ვიზალიბერალიზაციის ხელშკერულებაში ინტეგრირება, წინასწარვე მიუთითებდა იმ ფაქტორებზე, რომლებიც ამჟამად არსებულ დისკურსს განსაზღვრავს. 2016 წელს გერმანიაში, ისევე როგორც სრულიად ევროკავშირში მიგრანტთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ამავდროულად, ევროკავშირის მასშტაბით განსაკუთრებით გაძლიერდნენ ანტიევროპული, პოპულისტური ჯგუფები. ამ ორი, ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე პროცესის შედეგად, ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში მანამდე არსებულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე შიდაპოლიტიკური წნეხი არნახულად გაიზარდა. აღნიშნულმა ფაქტორმა კი, თავის მხრივ, ცალკეული პოლიტიკის გადახედვისკენ უბიძგა პოლიტიკურ პარტიებს. ორიენტირების პროცესი კონსერვატიულ პარტიებს კიდევ უფრო მარჯვნივ გადახრისკენ უბიძგებს. ამ ფონზე, საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შეჩერების ინიცირებაში ორი ფაქტორი იკვეთება. პირველი, ეხება ბოლო წლებში თავშესაფრის მაძიებელთა სტატისტიკურ და კრინიმალური მაჩვენებლის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ევროკავშირის შიგნით პარტიული დაპირისპირებების ფონზე ისეთი თემების გააქტიურებას, როგორიცაა უვიზო მიმოსვლა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მიუხედავად 2017 წელს საქართველოს მოქალაქეების რაოდენობის ზრდისა ევროკავშირის მასშტაბით, გერმანიაში საქართველოს მოქალაქეების

[48] შინაგან საქმეთა სამინიტრო. 2018, მარტი.გიორგი გახარია ჰააგაში ევროპოლის აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა. ხელმისაწვდომია: http://police.ge/ge/giorgi-gakharia-haagashi-evropolis-aghmasrulebel-direqtors-shekhvda/11493

მიერ თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი 2016 წელთან შედარებით შემცირდა. კლების მაჩვენებელი შენარჩუნებულია 2018 წლის იანვარ-თებერვალ-მარტში, რაც გერმანიისა და საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტურობაზე მიანიშნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ სტატისტიკითა და რიცხვებით გადაჭარბებული მანიპულაცია ხდება უშუალოდ საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით, მაშინ, როდესაც იმავე დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით, მიყენებული ზარალის ოდენობით საქართველო ნამდვილად არ იკავებს მოწინავე რიგებს. თუმცა, აღნიშნული სრულებით არ ნიშნავს პასუხისმგებლობის მოხსნას ქართველების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე. დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეჩერების მექანიზმის ამოქმედების საფრთხე არ არსებობს. თუმცა, პრევენციისთვის საჭიროა შემუშავდეს ეფექტური პოლიტიკა საკითხის მოსაგვარებლად და რისკების შეფასებით, გადაიდგას სწორი ნაბიჯები.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის

გამოწვევა, რომელიც საქართველოს წინაშე ევროკავშირთან ურთიერთობის პროცესში გაჩნდა, საჭიროებს, როგორც ხელისუფლების, ასევე ქართული საზოგადოების დაუყოვნებლივ რეაქციას. საჭიროა, პრობლემის გამომწვევი ფაქტორების იდენტიფიცირება და ამ პრობლემის მოგვარების გზების ძიება. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემის მთავარი წყარო საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია და მისი მოგვარების ყველაზე ეფექტური გზაც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე გადის, პოლიტიკის დოკუმენტი აქცენტს აკეთებს მოკლე ვადაში გადასადგამ ნაბიჯებზე. ამ კუთხით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მთავრობამ:

- **გააძლიეროს კომუნიკაცია ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარების მიმართულებით და ჩაატაროს საინფორმაციო კამპანია საქართველოს მოსახლეობასთან.** უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი შეზღუდავდა თავშესაფრის მიღების შესაძლებლობას საქართველოს მოქალაქეებისათვის და გაზრდიდა მათი საქართველოში სწრაფად დაბრუნების ეფექტურობას. ამასთან, საინფორმაციო კამპანია მოსახლეობას განუმარტავდა, რომ უსაფრთხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მიღების ალბათობა მინიმალურია ევროკავშირის ქვეყნებში, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის შემცირებაზე.
- **უზრუნველყოს თავშესაფრის შესაძლო მაძიებელთა გადინების კონტროლის საერთაშორისო პრაქტიკის საქართველოში დანერგვა.** ევროკომისიის მოხსენების მიხედვით, რომელიც ვიზის შეჩერების მექანიზმის ამოქმედების პირველ შეჯამებას მოიცავდა "გამშვები ინტერვიუ" (Exit Interview) მოგზაურთა ფუნდამენტური უფლებების დაცვით დასახელებულია, როგორც ეფექტური დროებითი ინსტუმენტი. შესაბამისად, აღნიშნული პრაქტიკის დანერგვით, უშუალოდ საქართველოს საზღვარზე მოხდება თავშესაფრის შესაძლო მსურველთა გადაადგილების კონტროლი.
- **საკუთარ თავზე აიღოს არალეგალურად დამრჩენთა გამომგზავრების უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული ხარჯები.** მისასალმებელია მთავრობის მუშაობა იმ მიმართულებით, რომ საქართველოს მოქალაქეებს, ვინც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში 90 დღეზე მეტი ხნით დარჩება, საქართველო მოძებნის. ასევე, დადებითი ტენდენციის მატარებელია საქართველოს მიერ ქართველი მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის წესების დამრღვევთა მოძიების ხარჯების დაფარვა (რომელიც მოძიების შემდგომ თვითონ დამრღვევ პიროვნებას

დაეკისრება). საქართველო ამით საერთაშორისო პარტნიორებს აჩვენებს, რომ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარი მოქალაქეების სავიზო რეჟიმით სარგებლობის წესების დაცულობაზე. რაც თავის მხრივს, პოზიტიურ გავლენას იქონიებს საქართველოს იმიჯზე.

- **უნდა უზრუნველყოს საინფორმაციო კამპანია უვიზო მიმოსვლის დამრღვევთა მიმართ დაკისრებული ვალდებულებების შესახებ.** საინფორმაციო კამპანიის მიზანი იქნება აუხსნას მოსახლეობას, თუ რა ხარჯების გაწევა მოუწევს უვიზო მომოსვლის წესების დარღვევის შემდეგ. კამპანიის შედეგად შემცირდება იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც უვიზო მიმოსვლის მეშვეობით ევროკავშირში უკანონოდ დარჩენას გეგმავენ.
- **უზრუნველყოს იმ პირების მონაცემთა ბაზის კომპლექსური ანალიზი, რომლებიც არღვევენ უვიზო მიმოსვლის წესებს:** ამგვარი ანალიზი საშუალებას მისცემს მთავრობას, განსაზღვროს რომელი სოციალური ფენის, სქესის, ასაკობრივი ჯგუფის მოქალაქეები კლასიფიცირდებიან სავარაუდო დამრღვევებად, რაც საქართველოს მთავრობას დაეხმარება ზუსტად განსაზღვროს სტრატეგიული კომუნიკაციის სამიზნე ჯგუფი და გზავნილები.
- **აქტიურად იმუშაოს ინფორმაციული კამპანიის ჩატარებით მითების გაქარწყლების მიმართულებით:** მთავრობამ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს მითების გაქარწყლება, რომელიც ეხება ევროპაში სამსახურის ადვილად შოვნის ან თავშესაფრის მაძიებელთათვის არსებულ პირობებზე წინასწარ შექმნილ ილუზიას. განსაკუთრებით კი, ეს ეხება კამპანიას რეგიონებში, სადაც ინფორმაციის ნაკლებობაა.
- **მჭიდროდ ითანამშრომლოს ქვეყნებთან, რომლებიც ვიზალიბერალიზაციის გადახედვის ინიციატივით გამოდიან**. სასურველია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ითანამშრომლებს იმ პარტიებთან ან პოლიტიკურ ჯგუფებთან, რომლებიც საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის გადახედვის იდეით გამოდიან. საჭიროა, დისკუსიის არსებობა და უკვე არსებულ მაგალითებზე დაყრდნობით (უვიზო მიმოსვლა მოლდოვასთან, ბალკანეთის ქვეყნებთან) სტრატეგიის შემუშავება. გერმანიაში, მისი ფედერაციული მოწყობიდან გამომდინარე საჭიროა გერმანიის მხარეებთან ურთიერთობების გაღრმავების მიზნით თანამშრომლობა.
- **უზრუნველყოს სამართალდამცველი სტრუქტურების მუშაობის გააქტიურება იმ კომპანიების და კრიმინალური სტრუქტურების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უწყობენ თავშესაფრის პოტენციურ მაძიებელთა გადინებას.** იმ კომპანიების მუშაობის შეზღუდვა, რომლებიც გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ თავშესაფრის მაძიებლების ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჩაყვანას და ლტოლვილის სტატუსის მისაღებად საჭირო პროცედურებს "უზრუნველყოფენ", შეამცირებს ევროკავშირის ქვეყნებში უკანონოდ დამრჩენთა რიცხვს. [49]
- **განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს მონაცემთა შესაძლო ფალსიფიკაციის ფაქტებს.** მისასალმებელია, იუსტიციის სამინისტროს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად ამკაცრებს საქართველოში გვარის შეცვლის საკითხს. აღნიშნული ნაბიჯით, შენგენის სივრცეში დანაშაულის ჩამდენ პირთა ახალი გვარით უკან დაბრუნების შესაძლებლობა პრაქტიკულად გამოირიცხება.

[49] შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პირველადი პროექტი უკვე შემუშავებულია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს საშუალებას მისცემს პასუხისგებაში მისცეთ ფიზიკური და იურიდული პირები, რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოს მოქალაქეებს უკანონოდ გადაკვეთონ საქართველოს საზღვარი და/ან უკანონოდ იმყოფებოდნენ უცხო ქვეყანაში.

- **გაზარდოს ძალისხმევა შრომითი ბაზრის გახსნის ინიციატივასთან დაკავშირებით.** საქართველოს ეკონომიკური განვითარება, რასაკვირველია, ევროკავშირში დასაქმების მსურველთა ლეგალური გზების ძიებით ვერ მოგვარდება, თუმცა, მთავრობამ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად უნდა მოძებნოს გზები, უფრო მეტ ქვეყანასთან მოხდეს ლეგალური შრომითი ბაზრის პირობების შექმნა, როგორიც ეს პოლონეთის შემთხვევაში გვაქვს.
- **შეთავაზოს ევროკავშირს შენგენის ინფორმაციების გაცვლის სისტემის (SIS) პრაქტიკის გაზიარება.** ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია SIS-ის გამოცდილება პოლიციასთან და სასჯელაღსრულების ორგანოებთან თანამშრომლობაში (აღნიშნული თანამშრომლობა უზრუნველყოფს დაკარგულ მოქალაქეებზე „განგაშის“ სისტემის შექმნას). პრაქტიკის გაზიარება საქართველოს დაეხმარება ევროკავშირის სასაზღვრო სისიტემის გამოცდილების დანერგვაში.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

დოკუმენტის ციტირების წესი:
მარიამ გრიგალაშვილი, მიხეილ სარჯველაძე, „საქართველოს ვიზალიბერალიზაციის გამოწვევები: პოლიტიკური კონტექსტი და სტატისტიკა“. პოლიტიკის დოკუმენტი # 4, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, აპრილი 2018.

© Georgian Institute of Politics, 2018
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
www.gip.ge

ISBN 978-9941-480-02-7